

საქართველოს ორგანული კანონი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N41, 08.12.2009, მუხ. 300) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-18 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის, მოადგილეებისა და უზენაესი სასამართლოს წევრებისგან.“;

ბ) მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უზენაესი სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია თავმჯდომარის ან პლენუმის წევრის წარდგინებით აირჩიოს დიდი პალატის შემადგენლობა;“;

ბ.ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სიითი შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერით, დანიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრი;“;

ბ.გ) „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ.დ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს რეკომენდაცია უზენაესი სასამართლოს კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე;“;

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. პლენუმი მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ. პლენუმის სხდომას ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან პლენუმის წევრთა არანაკლებ ერთი მუხუთედის მოთხოვნით. წევრთა მოთხოვნის შემთხვევაში სხდომა უნდა ჩაინიშნოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.“;

დ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. პლენუმის სხდომა არის საჯარო. პლენუმი უფლებამოსილია სხდომა დახურულად გამოაცხადოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.“;

ე) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8, მე-9 და მე-10-ე პუნქტები:

„8. პლენუმის სხდომის შესახებ ინფორმაცია და სხდომის დღის წესრიგი უნდა გასაჯაროვდეს 10 დღით ადრე. სხდომის შესახებ ინფორმაცია, დღის წესრიგი და დოკუმენტაცია, რომელიც

სხდომაზე განიხილება დაუყოვნებლივ, სხდომის ჩანიშნვისთანავე უნდა მიეწოდოთ პლენუმის წევრებს.

9. პლენუმის საქმიანობის სხვა წესები განისაზღვრება უზენაესი სასამართლოს პლენუმის რეგლამენტით. უზენაესი სასამართლოს რეგლამენტს იღებს პლენუმი სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

10. პლენუმის სხდომების აუდიოჩაწერა სავალდებულოა. ჩანაწერი აუდიოოქმის სახით, დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე.“.

2. 49-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ⁷)“ უზენაესი სასამართლოს პლენუმის ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტს ან საქართველოს მთავრობას წარუდგენს რეკომენდაციას უზენაესი სასამართლოს კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე;“.

მუხლი 2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა დაამტკიცოს უზენაესი სასამართლოს რეგლამენტი არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა.“.

მუხლი 3.

ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის პირველი ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

უზენაესი სასამართლოს პლენუმი მრავალფუნქციური ორგანოა. იგი გადაწყვეტილებებს იღებს არა მხოლოდ უზენაეს სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხებზე, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში მისი კომპეტენციები საერთო სასამართლოების მთელ სისტემას ეხება. მიუხედავად ამისა, ისინი საერთო სასამართლოების შესახებ კანონის ერთ მუხლშია რეგლამენტირებული. არ არსებობს საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი, რომელიც უფრო მკაფიოდ დაარეგულირებდა და განმარტავდა პლენუმის როლსა თუ საქმიანობას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პლენუმის 2020 წლის საქმიანობის მონიტორინგის ფარგლებში¹ შეისწავლა კოლეგიური ორგანოს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები და მათი მოქმედება, ამის საფუძველზე გამოავლინა ძირითადი ხარვეზები:

- პლენუმში სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების ყოფნა რაციონალურ არგუმენტებს არ ემყარება;
- არ არის დადგენილი, მოსამართლეთა მოთხოვნიდან რამდენ ხანში უნდა დაინიშნოს პლენუმის სხდომა;
- კანონი არ განსაზღვრავს, რამდენი ხნით ადრე უნდა ეცნობოს პლენუმის წევრებს სხდომის შესახებ, როდის უნდა მიეწოდოს მათ საჭირო დოკუმენტაცია გადაწყვეტილების მისაღებად. დამკვიდრებული პრაქტიკა არათანმიმდევრულია;
- არ არის განსაზღვრული, როდის უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია იმ კანდიდატთა შესახებ, რომლებსაც პლენუმი თანამდებობაზე ნიშნავს;
- პლენუმს არ აქვს ვალდებულება, გონივრული ვადით ადრე განათავსოს საკუთარი სხდომების შესახებ ინფორმაცია. ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში ამას თავმჯდომარე განსაზღვრავს;
- პლენუმის სხდომები, როგორც წესი, დიაა, თუმცა ფართოა პლენუმის დისკრეცია, სხდომა დაიხუროს;
- ვებგვერდზე არ ქვეყნდება პლენუმის სხდომის ოქმები. ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმაცია იღება მხოლოდ პრესრელიზის ფორმით, რაც სრულ სურათს ვერ ქმნის;
- განსაზღვრული არ არის სხდომებზე აუდიოჩანაწერის გაკეთების ვალდებულება და ეს მხოლოდ პლენუმის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული;
- ყველა გადაწყვეტილება მიიღება ერთნაირი კვორუმით. უფლებამოსილებათა მნიშვნელობებს შორის განსხვავებები არ აისახება გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო უმრავლესობაზე;
- უზენაეს სასამართლოს არ აქვს რეგლამენტი, რის გამოც, პლენუმის მუშაობის მნიშვნელოვანი პროცედურული საკითხები რჩება რეგულირების გარეშე;

¹ ხუხია თ., უზენაესი სასამართლოს პლენუმის მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/ulWfGPO>, განახლებულია: 18.01.2021.

- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატის, ასევე დიდ პალატაში მოსამართლეების პლენუმისთვის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს;
- მიუხედავად იმისა, რომ პლენუმს საპროცესო უფლებამოსილებები არ გააჩნია, მას საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა აქვს;
- პლენუმის უფლებამოსილება, რეკომენდაციით მიმართოს პრეზიდენტსა და მთავრობას საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, სცდება მის ინსტიტუციურ როლს;

სწორედ ამ ხარვეზების აღმოფხვრას ისახავს მიზნად წინამდებარე კანონპროექტი.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მოქმედ რედაქციაში არსებული და პლენუმის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების მოწესრიგება შეუძლებელია ნორმატიული საფუძვლების ცვლილების გარეშე.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღება, ხელს შეუწყობს უზენაესი სასამართლოს პლენუმის გამართულ ფუნქციონირებას. პლენუმის მუშაობა გახდება უფრო გამჭვირვალე, მისი სტრუქტურა კი გაუმჯობესდება. კოლეგიური ორგანო გათავისუფლდება იმ ვალდებულებებისგან, რომელიც სისტემურად მას არ უნდა ეკუთვნოდეს. ცვლილებები მნიშვნელოვნად გააძლიერებს ინდივიდუალური მოსამართლის როლს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლილებას მოიაზრებს:

1. უზენაესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობაში შევლენ მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები.

მოქმედი რედაქციის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებისგან.² პლენუმის შემადგენლობის რელევანტურობასთან დაკავშირებით კითხვები არაერთგზის დასმულა ადგილობრივ, და არა მხოლოდ, დონეზე.³ ვენეციის კომისია დადებითად აფასებდა პროექტს, რომლის მიხედვით, ეს პირები პლენუმის შემადგენლობაში აღარ შედიოდნენ.⁴

² საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი.

³ კუკავა ე; ტალახაძე მ; ნოზაძე ნ; ბახმაირი ლ; „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი“, IDFI, GYLA, გვ. 61. თბილისი, 2020, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2AHeSPZ>, განახლებულია: 18.01.2021.

⁴ European Commission For Democracy Through Law (VENICE COMMISSION), Joint opinion of the venice commission and the directorate of human right of the directorate general of human right and rule of laq of council of europe on the draft law on amendments to the organic law on general courts of Georgia, Strasbourg, 14 October 2014 CDL-AD(2014)031, Opinion N°773/2014, §84, ვენეციის კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gPHORC>, განახლებულია: 03.06.2020.

კოლეგიურ ორგანოს არ აქვს არცერთი უფლებამოსილება, რომელიც შეიძლება სპეციფიკურად სააპელაციო სასამართლოებს უკავშირდებოდეს. არის რამდენიმე კომპეტენცია,⁵ რომლებიც საერთო სასამართლოების მთელ სისტემას ეხება. თუ სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების პლენუმის წევრობა ამ კომპეტენციების არსებობას ეფუძნება, მაშინ მასში იმავე წარმატებით პირველი ინსტანციის სასამართლოების თავმჯდომარეებიც უნდა შედიოდნენ.⁶

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეები მონაწილეობენ ყველა გადაწყვეტილების მიღებაში და არა - მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც სასამართლო სისტემას უკავშირდება, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ პლენუმში მათი ყოფნა არ გამომდინარეობს ამ ორგანოს კომპეტენციათა არსენალიდან. ამავე დროს, მხოლოდ მესამე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს აქვთ ლეგიტიმაცია, მიიღონ გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციასთან დაკავშირებულ თემებზე. სააპელაციო სასამართლოს წევრები, თანამდებობაზე ინიშნებიან განსხვავებული წესით. საკანონმდებლო ორგანო მათ ნდობას არ უცხადებს უზენაეს სასამართლოში საქმიანობის გასაგრძელებლად, შესაბამისად მათი ყოფნა უზენაესი სასამართლოს პლენუმში კონსტიტუციის ნორმებს არ შეესაბამება.

2. უზენაესი სასამართლოს პლენუმის ყველა წევრს ექნება უფლებამოსილება პლენუმს წარუდგინოს დიდი პალატის წევრობის კანდიდატი.

პლენუმი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს დიდი პალატის შემადგენლობას,⁷ რომელიც განისაზღვრება არანაკლებ 12 მოსამართლით. ზედა ზღვარი დადგენილი არ არის.⁸ ეს თავმჯდომარეს აძლევს შესაძლებლობას, დიდი პალატა მხოლოდ თავისი თანამოაზრეებით დააკომპლექტოს, ხოლო მისთვის არასასურველი კანდიდატები პლენუმს საერთოდ არ წარუდგინოს. თვითმმართველობის ხარისხის გაზრდისთვის, უმჯობესია, საკანონმდებლო დონეზე კანდიდატის წარდგენის უფლება პლენუმის ყველა წევრს ჰქონდეს.

3. საკონსტიტუციო სასამართლს წევრი აირჩევა სიითი შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერით.

მოქმედი წესის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დასანიშნად საჭიროა პლენუმის სხდომაზე დამსწრეთა 2/3-ის მხარდაჭერა, თავად პლენუმი უფლებამოსილია თუ მის სხდომას ესწრება წევრთა 2/3.⁹ აუცილებელია გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ხმების რაოდენობა გაიზარდოს. მაღალი ლეგიტიმაციისა და კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო უნდა იყოს არა დამსწრეთა 2/3-ის, არამედ სიითი შემადგენლობის 2/3-ის თანხმობა.

4. პლენუმს ადარ ექნება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილება.

⁵ ეს უფლებამოსილებებია: საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების დანიშვნა და მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის გამოქვეყნება.

⁶ ამ მოსაზრებას ეთანხმება ყველა ინტერვიუირებული.

⁷ იქვე, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸ იქვე.

⁹ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-18 მუხლის, მე-4 პუნქტი.

საკონსტიტუციო სასამართლო „საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ“.¹⁰ ამ ჩანაწერის მიხედვით, წარდგინების უფლება აქვს მხოლოდ კონკრეტული საქმის განმხილველ სასამართლოს. პლენუმს კი მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება არ გააჩნია. ის არ განიხილავს საქმეებს, შესაბამისად, მისი ეს კომპეტენცია არაკონსტიტუციურია და უნდა გაუქმდეს. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტების „ჩაკეტილი“ ჩამონათვალი.¹¹ სხვა ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო სარჩელს ვერ განიხილავს. შესაბამისად, საერთო სასამართლოების შესახებ კანონის ეს დანაწესი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

5. პლენუმი, საჭიროების შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციას უზენაესი სასამართლოს კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე.

პლენუმს უფლება აქვს, მიმართოს მთავრობას ან პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით.¹² 2012 წლის შემდეგ მას ამ უფლებით არ უსარგებლია.¹³ თუმცა, მისი გამოყენების შესახებ ინფორმაცია არც მანამდე მოიპოვება.¹⁴ რადგან არსებობს კონსტიტუციური ორგანო - იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ასეთი უფლებამოსილებები სწორედ მისი მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს.

6. უზენაეს სასამართლოს, მხოლოდ თავისი კომპეტენციისა და უფლებამოსილებების ფარგლებში უნდა დაევალოს, რომ მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური ანგარიში საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ.

პლენუმი ვალდებულია, მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური ანგარიში საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ.¹⁵ თუმცა, არ არის დადგენილი, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს ეს დოკუმენტი. პლენუმს უნდა კანონით დაევალოს მოხსენების წარდგენა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებით, ხოლო ქვეყანაში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშს საბჭო აქვეყნებდეს.

7. პლენუმის სხდომას ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან პლენუმის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით. წევრთა მოთხოვნის შემთხვევაში სხდომა უნდა ჩაინიშნოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარეს ევალება, წევრთა შესაბამისი რაოდენობის მოთხოვნის შემთხვევაში სხდომა ჩაინიშნოს, ვადა განსაზღვრული არ არის. ეს მას შესაძლებლობას აძლევს, არასასურველი საკითხის განხილვა განუსაზღვრელი დროით გადადოს. მანიპულაციის

¹⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹¹ საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹² საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

¹³ უზენაესი სასამართლოს წერილი, №3-1227-20, 21.08.2020.

¹⁴ ინტერვიუ ეკატერინე გასიტაშვილთან.

¹⁵ იქვე, „მ“ ქვეპუნქტი.

თავიდან ასარიდებლად აუცილებელია კონკრეტული ვადის განსაზღვრა და ამით თავმჯდომარის დისკრეციის შეზღუდვა. გარდა ამისა, განისაზღვრება ვადა. 10 კალენდარული დღე, პლენუმის უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, არის ოპტიმალური ვადა, იმისთვის რომ ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდეს სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა, პლენუმის წევრებს კი განსახილველი საკითხების მომზადების შესაძლებლობა.

8. პლენუმის სხდომა არის საჯარო. პლენუმი უფლებამოსილია სხდომა დახურულად გამოაცხადოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

ჩანაწერის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს პლენუმის მუშაობა, „როგორც წესი, საჯაროა“.¹⁶ ეს ნიშნავს, რომ სხდომის დახურვა წესიდან გადახვევაა და იგი მიზანშეწონილობის შეფასებას, დასაბუთებას უნდა დაექვემდებაროს. იმ პირობებში, როდესაც სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა დაბალია, საჯაროობის პრინციპი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.¹⁷ ამ უკანასკნელის მიზანი უნდა იყოს კონკრეტული პირების ან სახელმწიფო ინტერესების დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამჭვირვალობაზე უარის თქმა დაუშვებელია. თუმცა, დღეს მოქმედი რედაქციის შესაბამისად, არ არის დაკონკრეტებული რა შემთხვევაში შეიძლება სხდომის დახურვა და საფუძველი ნებისმიერი რამ შეიძლება გახდეს.

9. პლენუმის სხდომის შესახებ ინფორმაცია ინფორმაცია და სხდომის დღის წესრიგი უნდა გასაჯაროვდეს 10 დღით ადრე. სხდომის შესახებ ინფორმაცია, დღის წესრიგი და დოკუმენტაცია, რომელიც სხდომაზე განიხილება დაუყოვნებლივ, სხდომის ჩანიშნვისთანავე უნდა მიეწოდოს პლენუმის წევრებს.

პლენუმის საქმიანობის გამჭვირვალობისთვის, საზოგადოების ინფორმირებისა და განსახილველი საკითხის ირგვლივ სამსჯელოდ აუცილებელია პლენუმის სხდომის შესახებ ცნობილი გახდეს გონივრული დროით ადრე. გარდა ამისა, აუცილებელია გამოქვეყნდეს ყველა ის მასალა, რომელიც განიხილება სხდომაზე.

10. პლენუმის საქმიანობის სხვა წესები განისაზღვრება უზენაესი სასამართლოს პლენუმის რეგლამენტით.

იმ წესებს, რომლებიც ორგანული კანონის ან/და კონსტიტუციის დონეზე არ რეგულირდება, რეგლამენტი განსაზღვრავს რეგლამენტი უზრუნველყოფს მეტ პროცედურულ სიცხადეს. უზენაესმა სასამართლომ უნდა მიიღოს რეგლამენტი სადაც დეტალურად გაწერს თავისი საქმიანობის პროცედურებს.

11. კანონპროექტის შესაბამისად პლენუმის სხდომების აუდიოჩაწერა სავალდებულო ხდება. ჩანაწერი აუდიოჩემის სახით, დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე.

ცვლილება საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეს, დროულად მიიღოს ზუსტი ინფორმაცია პლენუმის სხდომის შინაარსთან დაკავშირებით.

¹⁶ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁷ Human Rights Education and Monitoring Center (EMC), CRRG-Georgia, Institute for Development of Freedom of Information (IDFI), Knowledge and Attitudes of the Population of Georgia towards Judiciary: Results of the Public Opinion Survey, 2018, EMC-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2UhKwK2>, განახლებულია: 21.03.2020.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი არ არის ინიცირებული მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი ძალაში შევა 2023 წლის პირველი ივნისიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ ხდება რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტის არ ექნება გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ²) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტის მიღებით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების), სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადების მიზნებისათვის, შეირჩა ქვეყნები, რომელთა საბოლოო ინსტანციის სასამართლოებში მოქმედებს პლენუმის მსგავსი ინსტიტუტი. ნაშრომი, ძირითადად, ეყრდნობა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გამოცდილებას, თუმცა აქვე განხილულია იმ ქვეყნების მაგალითები, რომელთა თანამედროვე სამართლებრივი სისტემა, მათ შორის, უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციური მოწყობა საქართველოსთან თანადროულად და მსგავსი სტენარით ჩამოყალიბდა. ეს ქვეყნებია: ბულგარეთი, ესტონეთი, ჩეხეთი, ლატვია, უკრაინა და აზერბაიჯანი.

პლენუმის შემადგენლობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია რომ, ქვეყნებში რომელთა პლენუმებიც საიამ შეისწავლა - ბულგარეთის,¹⁸ ესტონეთის,¹⁹ ჩეხეთის,²⁰ ლატვიის,²¹ უკრაინისა²² და აზერბაიჯანის²³ უზენაეს სასამართლოთა მსგავსი კოლეგიური ორგანოების შემადგენლობაში შედიან მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები.

საინტერესოა, პლენუმის სხდომის დანიშვნის საკითხიც. მოქმედი რედაქციის შესაბამისად, საქართველოში სხდომას იწვევს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან წევრთა მოთხოვნით, თუმცა არ არის დაკონკრეტებული ეს რა ვადაში უნდა მოხდეს.²⁴ მაგალითად, ჩეხეთში²⁵ და უკრაინაში²⁶ თავმჯდომარე ვალდებულია, სხდომა მოიწვიოს პლენუმის წევრთა მოთხოვნიდან 1 თვეში. შემოთავაზებული კანონპროექტი, ადგენს უფრო მაღალ სტანდარტს და თავმჯდომარეს ავალდებულებს სხდომა მოიწვიოს 10 კალენდარულ დღეში.

რაც შეეხება რეგლამენტს, აქ საინტერესოა ლიტვის გამოცდილება. ლიტვაში პლენუმის საქმიანობა პლენარული სხდომის სახელმძღვანელო წესებით რეგულირდება.²⁷ მათ თავად პლენუმი იღებს და ვრცელდება იმგვარ საკითხებზეც, როგორებიცაა პლენარული სესიის მოწვევა და მუშაობა, სესიის მიმდინარეობა, გადაწყვეტილების მიღება, დოკუმენტირება და ა.შ. წესები დეტალურად განსაზღვრავს, როდის უნდა ეცნობოს პლენუმის წევრებს სხდომის შესახებ და როდის უნდა გაეგზავნოს მათ შესაბამისი დოკუმენტაცია.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

¹⁸ Judiciary System Act of Bulgaria, Article 111.

¹⁹ Courts Act of Estonia, article30.

²⁰ The Supreme Court of the Czech Republic, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3lhCOfl>, განახლებულია: 14.03.2021.

²¹ Law of the Republic of Latvia On Judicial Power, Section 49.

²² Law of Ukraine on the Judiciary and Status of Judges, Article 46.

²³ Law of the Azerbaijan Republic On Courts and Judges, Article 79.

²⁴ საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი.

²⁵ იქვე.

²⁶ Law of Ukraine on the Judiciary and Status of Judges, Article 46, cl. 5.

²⁷ Plenary Session Manual, ლატვიის უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3g5ivhE>, განახლებულია: 16.08.2020.